

## ქეთევან დათუკიშვილი

### თემისნიშნისეული გ-ს ჩართვა მასდარებში და მათი ასახვა ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონებში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში უთემისნიშნო (განსაკუთრებით ფუძედრეკად) ზმნებში ხშირად დასტურდება არასწორი წარმოების შემთხვევები. კერძოდ, მათ დაერთვის -**ავ** თემის ნიშანი: ტეხავს, გლეჯავს, გრეხავს და ა. შ. ამ მოვლენას არაერთი მკვლევარი განიხილავს (გ. გოგოლაშვილი, რ. ქურდაძე...).

უკანასკნელ წლებში გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში („მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“) სისტემურად არის ასახული მსგავსი მცდარი ფორმები: ტეხს [და არა ტეხავს]; გრეხს, გრეხდა, გრეხდეს [და არა გრეხავს, გრიხავს...]; წმენდს, წმენდა, წმენდდეს [და არა წმენდავს, წმინდავს...] და ა. შ.

უთემისნიშნო ფორმათაგან ნაწარმოებ მასდარებშიც დასტურდება მცდარი ვარიანტები. კერძოდ, ამ მასდარებს ჩაერთვის ავ-თემისნიშნისეული **გ**: გატეხავს – გატეხვა, დაგლეჯავს – დაგლეჯვა, მოზელავს – მოზელვა და ა. შ. **გ**-ს ჩართვა დასტურდება ე. წ. ოლიან მასდარებშიც: თრთოლვა, მრწოლვა. საინტერესოა, როგორ არის ასახული აღნიშნული შემთხვევები ორთოგრაფიულ ლექსიკონებში. ჩვენ ამ თვალსაზრისით განვიხილეთ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და ზემოთ დასახელებული ლექსიკონები.

აღნიშნულ ლექსიკონებში რიც შემთხვევებში **გ**-ჩართული მასდარები შეტანილია მცდარ ფორმებად, მაგრამ ეს მასალა ძალიან მწირია, თანაც სისტემურად არ არის წარმოდგენილი. დავადასტურეთ ამ ტიპის შემდეგი მასდარები: [გაბანვა კი არა] გაბანა; [დაბანვა კი არა] დაბანა („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“); ტეხა (ტეხს) [და არა ტეხვა] („მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“); გა-

ტება [და არა გატეხვა] („მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“; „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“; „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“); ჟლეტა (ჟლეტს) [და არა ჟლეტვა] („მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“); [ზელვა კი არა] ზელა („საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“); [თრთოლვა კი არა] თრთოლა; [ქროლვა კი არა] ქროლა („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“); თრთოლა [და არა თრთოლვა]; ძრწოლა [და არა ძრწოლვა] („მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“).

ჩვენი აზრით, ამგვარი მასდარების მართლწერის საკითხი აქტუალურია და ეს ფორმები სისტემურად უნდა აისახოს ორთოგრაფიულ ლექსიკონებში. კერძოდ, თითოეულ უთემისნიშნო მასდარს (სხვადასხვა ზმნისწინიანს) უნდა მიეთითოს **ვ**-ჩართული მცდარი ვარიანტი:

გლეჯა [და არა გლეჯვა]  
გაგლეჯა [და არა გაგლეჯვა]  
დაგლეჯა [და არა დაგლეჯვა]  
გრეხა [და არა გრეხვა]  
დაგრეხა [და არა დაგრეხვა]  
ჰყლეტა [და არა ჰყლეტვა]  
გაჰყლეტა [და არა გაჰყლეტვა]  
თრთოლა [და არა თრთოლვა] და ა.შ.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ უთემისნიშნო ზმნათაგან ნაწარმოები ვ-ჩართული მასდარები საკმაოდ ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულ ენაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს იმ მასალიდან, რომელიც დადასტურდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენის კორპუსში“ (<http://corpora.iliauni.edu.ge/>). ამგვარ მასდარებს საკმაოდ ხშირად იყენებენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გურამ გეგეშიძე, ნოდარ წულუისკირი, აკა მორჩილაძე და სხვ.

არ შეიძლების, ბატონო, შენი თხოვნით დავაბრუნე ეს გლეხები, შენ მაგიერ დავიფიცე და ფიცის **გატეხვას** თავის **გატეხვა** მირჩევნიან. თუ არა და... (მ. ჯავახიშვილი); იმ რკინით სტამბის ბოქლომის **გატეხვა** უნდოდათ. ხელი შევუშვირე. დავუბლოკე... ნიღაბს აგხდითო და წავიდნენ. თქვენი წიგნები წაიღეს, უნდა შევამოწმოთო... მე მგონია, რო შენგან უნდა წამოვიღო წიგნები და რა დამესას ქვისლის სარდაფში დავმალო. რა იცი, რა ხდება... (ა. მორჩილაძე); – ძალით ხტება, ფეხის **მოტეხვა** უნდა! (ნ. წულეისკირი); უეცრად სიტყვა – თითქო ხმალის დარტყმევა და ხმალის შუაზე **გადატეხვა**: „კვდება ირრუბაქიძე“... (გრ. რობაქიძე); მოპორჭყნა რო დაინახეს, ერთ რკინიანს გული მიეცა და შუშის **ჩატეხვა** მოინდომა. იმ რკინით სტამბის ბოქლომის გატეხვა უნდოდათ. ხელი შევუშვირე. დავუბლოკე... (ა. მორჩილაძე); – ალულლულდნენ ერთხმად ბებრები და მხრებს რიგრიგობით უწყეს **ჩეჩვა**. – სხვებმა ქნეს ეგა... სულ სხვებმა... (ბ. ხვედელიძე); ზოგადად ყველამ კარგად იცის, რომ ტყის **გაჩეხვა** არ შეიძლება, მაგრამ თუ ვიქნებით საქმიანი და კონკრეტული, სულ არ დაგვჭირდება გულისამაჩუყებელი პატრიოტული სიტყვები; თუკი ხის მასალა მაღაზიაში იქნება, ვინ გიყ წავა ქვიბიაში ხის მოსაჭრელად? (ნ. წულეისკირი); ამის შემდეგ, ცული დაიორხელა და ქოხის უკან დაყრილ შემას **ჩეხვა** დაუწყო. (გ. გეგეშიძე); გვეყო მაგდენი გულის **ხეთქვა** თქვენგანა. (ა. ფურცელაძე); შოთას ამჯერად არც სახანძრო უშიშროების პრობლემა აწუხებდა სხვენზე მოთავსებულ სადაქალოსთან დაკავშირებით, – მას უბრალოდ თმის **შეკრეჭვა** და ბუნებრივია, „კისრის ამოსწორებაც“ სურდა. (რ. მიშველაძე); კაცმა სიზმარი-ზღაპარი შიშნარევი **თრთოლვით** გაიხსენა (ჯ. გოგეშიძე); ეტლზე აიეტი იდგა და გამოირჩეოდა ქარის **ქროლვასავით** სწრაფი ცხენებით (ვ. შავგულიძე)

მსგავსი მასდარები საკმაოდ დიდი რაოდენობით დადასტურდა ქართული ენის ეროვნულ კორპუსშიც (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>), კერძოდ, რეფერენციალურ კორპუსში. წარმოვადგენთ მაგალითებს ამ მასალიდან:

ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ნიშნავს, რომ მგელს მოამლევინო საქონლის ან ცხვრის **დაგლეჯვა** და ქურდობა; ნებისმიერ დროს შეეძლო ლითონის საგნების **დაგრეხვა**; ზოგჯერ საკანშიც მოუსურვებიათ მათი **მოდრეკვა**; მოსულმა დებს ბავშვის ძმრით **დახელვა** შესთავაზა; ჩვენი რევოლუციური ვარდის უეკ-

ლოდ **დაკრეფვა** შეიძლება; ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდა სეპარატისტთა **გასრესვა**; არ არის კარგი ღამეების **ტეხვა**; ყველას თავისი მომხრე ჰყავს, ხალხის დაპირისპირება, **გაგლეჯვა** არ შეიძლება; ფიზიკურ შრომას შეუჩვეველი კაცისათვის ძნელი შეიქნა ტალახის **ზელევა**; ხელების **გადაგრეხვა** და რეპრესიები გამოსავალი არ არის; სამხრეთი აფრიკის პოლიციამ **ჩხრეკვა** მოაწყო; დალაქმა **კრეკვა** შეწყვიტა, სავარძლის ზურგი გადასწია და ზეწარი უჩუმრად გამოცვალა; მოაწყო კიდევ ებრაელების **ჟღებვა** გერმანიაში; იქვე ჩემს ნოხთან მოიკალათა და ცოცხს **გლეჯვა** დაუწყო.

წარმოდგენილი მასალა მიუთითებს, რომ უთემისნიშნო ზმნების მასდარებში **გ**-ს ჩართვის შემთხვევები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ქართულში. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ზემოთ განხილული მცდარი ფორმების სისტემურად ასახვა.

### ლიტერატურა

**თოფურია, გიგინეიშვილი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონი, (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი.

**მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის**, 2016, თბილისი.

**მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**, 2012, თბილისი.

**სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი**, 2011, თბილისი.

**საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**, 2017, თბილისი.

Ketevan Datukishvili

**Including the Element  $\nu$  of the Thematic Suffix in Masdars and  
Representing Them in the Georgian  
Orthographic Dictionaries**

Summary

Among the Georgian verbs having no thematic suffixes (especially in ablauting verbs) the incorrect forms that have the thematic suffix **-av** are often attested, e. g. *ṭexavs*, *gležavs*, *grexavs*, etc. Even masdars are incorrectly derived from such a type of verbs, namely, the element  $\nu$  of the thematic suffix is included in the converbs, e. g. *gaṭexva*, *dagležva*, *dagrexva*, etc. The orthographic dictionaries include only a few cases of such masdars. We think that the issue is topical and these forms should be systematically presented in the orthographic dictionaries.